



# გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია სსიპ-ქ.გორის ს.ცინცაძის  
სახელობის სამუსიკო კოლეჯის დირექტორის

ბრძანებით

N1/ . .11.2023წ.

სსიპ - ქ.გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის

პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისა და დაცვის წესი

სსიპ სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში – „კოლეჯი“) პერსონალური მონაცემების დამუშავების და დაცვის წესი (შემდგომში – „წესი“) განსაზღვრავს კოლეჯის პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში დამუშავებული პერსონალური მონაცემების დაცვის სტრატეგიას და აყალიბებს პერსონალური მონაცემების ძირითად პრინციპებს და მექანიზმებს.

წინამდებარე წესი არის კოლეჯის ძირითადი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსაზღვრულ მოთხოვნებს.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების მიღწევა შესაძლებელია პერსონალურ მონაცემებზე არასანქციონირებული, მათ შორის შემთხვევითი, ხელმისაწვდომობის გამორიცხვით, რომლის შესაძლო შედეგებია პერსონალური მონაცემების განადგურება, შეცვლა, ბლოკირება, კოპირება, გავრცელება.

პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მათი საინფორმაციო სისტემაში დამუშავების დროს ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვის სისტემის დახმარებით, რომელიც მოიცავს საორგანიზაციო ზომებს და ინფორმაციის დაცვის საშუალებებს, აგრეთვე საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რომლებსაც იყენებენ საინფორმაციო სისტემაში. ტექნიკური და პროგრამული საშუალებები უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის დაცვას.

## თავი I

### ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. წესის მიზანი

1.1. წესის გამოყენების მიზანი – წესის მიზანია კოლეჯში პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და დამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების, მათ შორის, პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლებების დაცვა. ასევე, პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, აგრეთვე ნორმატიული სამართლებრივი აქტების და სხვა დოკუმენტების დებულებების რეალიზაცია პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხში.

1.2. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითადი მიზანია:

ა) კოლეჯში პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში (ფიზიკური პირების) მონაცემთა სუბიექტის უფლების დარღვევის თავიდან აცილება იმ ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად, რომლის დამუშავებაც ხდება კოლეჯის პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში;

ბ) პერსონალური მონაცემების იმ ინფორმაციის დამახინჯების ან არასანქცინირებული მოდიფიკაციის თავიდან აცილება, რომლის დამუშავება ხდება კოლეჯის პერსონალური მონაცემების საინფორმაციო სისტემაში;

გ) პერსონალური მონაცემების ინფორმაციის მიმართ არასანქცინირებული ქმედებების თავიდან აცილება;

დ) კოლეჯის თანამშრომელთა მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვა.

**1.3.** წესით განსაზღვრული მოთხოვნები კოლეჯის ყველა თანამშრომლისთვის გავრცელდება:

ა) კოლეჯის ავტომატიზირებულ სისტემებზე;

ბ) ტელეკომუნიკაციის საშუალებებზე;

გ) საინფორმაციო რესურსებზე და ინფორმაციის მატარებლებზე;

**1.4.** კოლეჯის შიდა დოკუმენტები, რომლებიც შეიცავს მონაცემთა სუბიექტების პერსონალურ მონაცემებს უნდა დამუშავდეს ამ წესის დებულებების გათვალისწინებით და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მათ.

## **მუხლი 2. წესის მოქმედების სფერო**

1. ამ წესის მოქმედება ვრცელდება კოლეჯის მიერ მის ტერიტორიაზე პერსონალურ მონაცემთა ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე.

2. წესის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) ფიზიკური პირის მიერ აშკარად პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავებაზე, რომელიც დაკავშირებული არ არის მის სამეწარმეო ან/და ეკონომიკურ, პროფესიულ საქმიანობასთან ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. პირადი მიზნით ან/და ოჯახური საქმიანობის ფარგლებში მონაცემთა დამუშავება შეიძლება მოიცავდეს, მათ შორის, მიმოწერას, მისამართების დამუშავებას, ინტერნეტაქტივობას (მათ შორის, სოციალურ ქსელში), რომელიც ამ საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება;

ბ) სახელმწიფო უსაფრთხოების (მათ შორის, ეკონომიკური უსაფრთხოების), თავდაცვის, სადაზვერვო და კონტრდაზვერვითი საქმიანობების მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე;

გ) დანაშაულის თავიდან აცილების, გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისთვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ნახევრად ავტომატური საშუალებებით დამუშავებასა და არავტომატური საშუალებებით დამუშავებაზე;

დ) სასამართლოში სამართალწარმოების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე;

ე) მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ საზოგადოების ინფორმირების მიზნით მონაცემთა დამუშავებაზე (გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და 27-ე მუხლისა);

ვ) აკადემიური, სახელოვნებო და ლიტერატურული მიზნებისთვის მონაცემთა დამუშავებაზე.

3. კოლეჯში დასაქმებულმა ნებისმიერმა პირმა, რომელიც მიიღებს სხვის მონაცემებს, რომლებიც მისთვის განკუთვნილი არ არის, პატივი უნდა სცეს მონაცემთა სუბიექტის უფლებებს და არ უნდა შეეცადოს მონაცემთა უკანონო დამუშავებას.

## **თავი II**

### **პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერება**

#### **მუხლი 3. პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპები**

1. კოლეჯის მიერ მონაცემთა დამუშავებისას დაცული უნდა იქნეს შემდეგი პრინციპები:

ა) პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს კანონიერად, სამართლიანად, მონაცემთა სუბიექტისთვის გამჭვირვალედ და მისი ღირსების შეუღახავად. მონაცემთა დამუშავების გამჭვირვალეობის ვალდებულება არ ვრცელდება ამ წესით დადგენილ გამონაკლის შემთხვევებზე;

ბ) მონაცემები უნდა შეგროვდეს/მოპოვებული უნდა იქნეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული და

ლეგიტიმური მიზნებისთვის. დაუშვებელია მონაცემთა შემდგომი დამუშავება სხვა, მონაცემთა დამუშავების თავდაპირველ მიზანთან შეუთავსებელი მიზნით;

გ) მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. მონაცემები იმ მიზნის თანაზომიერი უნდა იყოს, რომლის მისაღწევაც ისინი მუშავდება;

დ) მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი, ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული. მონაცემთა დამუშავების მიზნების გათვალისწინებით, არაზუსტი მონაცემები უნდა გასწორდეს, წაიშალოს ან განადგურდეს გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე;

ე) მონაცემების უსაფრთხოების დაცვის მიზნით მონაცემთა დამუშავებისას კოლეჯის მიერ მიღებული უნდა იქნეს ისეთი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რომლებიც სათანადოდ უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას, მათ შორის, უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვისგან, განადგურებისგან ან/და დაზიანებისგან.

2. თუ მონაცემები უნდა დამუშავდეს მათი შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით და დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონის საფუძველზე არ ხორციელდება, მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავების საკითხის გადაწყვეტისას კოლეჯმა უნდა გაითვალისწინოს:

- ა) არსებობს თუ არა მონაცემთა შეგროვების/მოპოვების თავდაპირველ მიზანსა და შემდგომ მიზანს შორის კავშირი;
- ბ) მონაცემთა შეგროვებისას/მოპოვებისას დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და მონაცემთა სუბიექტს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათი;
- გ) აქვს თუ არა მონაცემთა სუბიექტს მის შესახებ მონაცემთა შემდგომი დამუშავების გონივრული მოლოდინი;
- დ) ხორციელდება თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება;
- ე) მონაცემთა სუბიექტისთვის შესაძლო შედეგები, რომლებიც შეიძლება თან ახლდეს მონაცემთა შემდგომ დამუშავებას;
- ვ) მონაცემთა ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების არსებობა.

3. კოლეჯი პასუხისმგებელია მონაცემთა დამუშავებისას ამ მუხლით განსაზღვრული პრინციპების დაცვისთვის და მან უნდა შეძლოს მათთან შესაბამისობის დასაბუთება.

#### მუხლი 4. პერსონალური მონაცემების დამუშავების საფუძვლები

1. კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა თანხმობა მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებაზე;
- ბ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნით გარიგების დასადავად;
- გ) მონაცემთა დამუშავება გათვალისწინებულია კანონით;
- დ) მონაცემთა დამუშავება საჭიროა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ საქართველოს კანონმდებლობით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;
- ე) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის თანახმად, მონაცემი საჯაროდ ხელმისაწვდომია ან მონაცემთა სუბიექტმა იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადა;
- ვ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, მათ შორის, ეპიდემიის მონიტორინგის ან/და მისი გავრცელების აღკვეთის, ჰუმანიტარული კრიზისების, ბუნებრივი და ადამიანის მოქმედებით გამოწვეული კატასტროფების სამართავად;
- ზ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
- თ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის, მართლმსაჯულების განხორციელების, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მართლწესრიგის დაცვის, მათ შორის, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის, მიზნებისთვის;
- ი) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, გარდა იმ შემთხვევისა, თუ არსებობს მონაცემთა სუბიექტის (მათ შორის, არასრულწლოვანის) უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
- კ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის განცხადების განსახილველად ( მისთვის მომსახურების გასაწევად).

2. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება ეკისრება კოლეჯს.

## მუხლი 5. პერსონალური მონაცემების სუბიექტები

1. კოლეჯში პერსონალური მონაცემების დაცვასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს შეუძლია განახორციელოს პერსონალური მონაცემების სუბიექტების შემდეგი კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება:

- ა) პროფესიული განათლების სტუდენტები და კურსდამთავრებულები;
- ბ) კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა ნებისმიერი პერსონალი;
- გ) დამსაქმებელი ორგანიზაციების მონაცემები.

## მუხლი 6. დამუშავებული პერსონალური მონაცემების ჩამონათვალი

1. კოლეჯი უზრუნველყოფს შემდეგი სახის პერსონალური მონაცემების დამუშავებას:

- 1. სახელი, გვარი,
- 2. პირადი ნომერი,
- 3. მოქალაქეობა,
- 4. სქესი,
- 5. ოჯახური მდგომარეობა,
- 6. დაბადების თარიღი და ადგილი
- 7. განათლება;
- 8. იურიდიული მისამართი;
- 9. ფაქტობრივი მისამართი;
- 10. საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;
- 11. ელექტრონული ფოსტის მისამართი.

2. საჭიროებიდან გამომდინარე კოლეჯმა შეიძლება დაამუშაოს სხვა სახის პერსონალური მონაცემებიც კანონმდებლობით და ამ წესით დადგენილ ფარგლებში.

## მუხლი 7. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

1. პერსონალური მონაცემების დამუშავება იწყება პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტების კოლეჯში მიღების მომენტიდან და მთავრდება:

ა) პერსონალურ მონაცემთა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების შემთხვევაში მიმართული არამართლზომიერი ქმედებების გამოვლენის შემთხვევაში სამი სამუშაო დღის ვადაში ასეთი გამოვლენის მომენტიდან. აღნიშნულ ვადაში პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპების დარღვევის აღმოფხვრის შეუსრულებლობის შემთხვევაში, კოლეჯი დაუყოვნებლივ ანადგურებს პერსონალურ მონაცემებს. დაშვებული დარღვევების აღმოფხვრის და პერსონალური მონაცემების განადგურების შესახებ კოლეჯი ატყობინებს პერსონალური მონაცემების სუბიექტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს.

ბ) პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნების მიღწევის შემთხვევაში, კოლეჯი დაუყოვნებლივ წყვეტს პერსონალური მონაცემების დამუშავებას და ანადგურებს შესაბამის პერსონალურ მონაცემებს დამუშავების კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნის მიღწევიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში. აღნიშნულის თაობაზე ეცნობება პერსონალური მონაცემების სუბიექტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო თუ მიმართვა ან



მოთხოვნა პერსონალური მონაცემების სუბიექტების უფლებების დაცვაზე უფლებამოსილი ორგანოს მიერ იყო გაგზავნილი, კოლეჯი წერილობითი ფორმით აცნობებს ასეთ დაწესებულებას.

გ) კოლეჯის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში.

## მუხლი 8. პერსონალურ მონაცემთა გაცნობისა და ასლის მიღების უფლება

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯში გაეცნოს მის შესახებ არსებულ პერსონალურ მონაცემებს და უსასყიდლოდ მიიღოს ამ მონაცემების ასლები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მონაცემთა გაცნობისთვის ან/და მონაცემთა ასლების გაცემისთვის:

ა) დადგენილია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასური.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არის დადგენილი.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადა განსაკუთრებულ შემთხვევებში და სათანადო დასაბუთებით შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 10 სამუშაო დღით, რის შესახებაც მონაცემთა სუბიექტს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს.

4. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, გაეცნოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემებს ან/და მიიღოს მათი ასლები იმ ფორმით, რომლითაც დაცულია კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილ პირთან.

## **მუხლი 9. პერსონალურ მონაცემთა გასწორების, განახლებისა და შევსების უფლება**

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს მის შესახებ მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება.
2. მონაცემთა სუბიექტის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა ვადა არ არის დადგენილი) მონაცემები უნდა გასწორდეს, განახლდეს ან/და შეივსოს ან მონაცემთა სუბიექტს ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.
3. თუ კოლეჯი მონაცემთა სუბიექტისგან დამოუკიდებლად გამოავლენს, რომ მის ხელთ არსებული მონაცემები მცდარი, არაზუსტი ან/და არასრულია, მან გონივრულ ვადაში უნდა გაასწოროს, განახლოს ან/და შეავსოს მონაცემები და მონაცემთა გასწორებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამის შესახებ აცნობოს მონაცემთა სუბიექტს.
4. კოლეჯს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მონაცემთა სუბიექტისთვის შეტყობინების ვალდებულება არ წარმოეშობა, თუ მონაცემების გასწორება, განახლება ან/და შევსება ტექნიკური შეცდომის გასწორებას/აღმოფხვრას უკავშირდება.
5. თუ არსებობს ობიექტური გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ ვადაში მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულების შესრულებას, კოლეჯმა ცვლილების განხორციელების შესახებ ინფორმაცია მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს მასთან პირველი კომუნიკაციის განხორციელებისთანავე.
6. კოლეჯი ვალდებულია ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა განახლებისა და შევსების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.
7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან გონივრულ ვადაში გაასწორონ, განახლონ ან/და შეავსონ მონაცემები.

## **მუხლი 10. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლება**

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს მის შესახებ მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, პროფაილინგის) შეწყვეტა, წაშლა ან განადგურება.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა (თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი) უნდა შეწყდეს მონაცემთა დამუშავება ან/და მონაცემები უნდა წაიშალოს ან განადგურდეს ან მონაცემთა სუბიექტს უნდა ეცნობოს მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველი და განემარტოს უარის გასაჩივრების წესი.
3. კოლეჯს უფლება აქვს, უარი თქვას ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ:
  - ა) არსებობს მონაცემთა დამუშავების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 ან მე-6 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი;
  - ბ) მონაცემები მუშავდება სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასაბუთების მიზნით;
  - გ) მონაცემთა დამუშავება აუცილებელია გამოხატვის ან ინფორმაციის თავისუფლების უფლების განსახორციელებლად;

- დ) მონაცემები მუშავდება კანონით გათვალისწინებული საჯარო ინტერესებისთვის არქივირების მიზნით, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის და მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების უფლების განხორციელება შეუძლებელს გახდის ან მნიშვნელოვნად დააზიანებს დამუშავების მიზნების მიღწევას.
4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლის არსებობისას კოლეჯს ეკისრება შესაბამისი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება.
5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ ინფორმაცია მიიღოს შესაბამისი მოქმედების განხორციელებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
6. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მის შესახებ მონაცემთა საჯაროდ ხელმისაწვდომი ფორმით დამუშავების შემთხვევაში კოლეჯს მოსთხოვოს მონაცემთა ხელმისაწვდომობის შეზღუდვა ან/და მონაცემთა ასლების ან მონაცემებთან დამაკავშირებელი ნებისმიერი ინტერნეტმულის წაშლა.
7. კოლეჯი ვალდებულია ყველა მონაცემთა მიმღებს, აგრეთვე ამავე მონაცემთა ყველა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირსა და დამუშავებაზე უფლებამოსილ პირს, რომლებსაც თავად გადასცა მონაცემები, შეატყობინოს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის, წაშლის ან განადგურების შესახებ, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ინფორმაციის მიწოდება შეუძლებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების/დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების ან მონაცემთა მიმღებების სიმრავლის ან/და არაპროპორციულად დიდი დანახარჯების გამო.
8. ამ მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული პირები შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ ვალდებული არიან შეწყვიტონ მონაცემთა დამუშავება და წაშალონ ან განადგურონ მონაცემები.

## **მუხლი 11. პერსონალურ მონაცემთა დაბლოკვის უფლება**

1. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი გარემოება:
- ა) მონაცემთა სუბიექტი სადავოს ხდის მონაცემების ნამდვილობას ან სიზუსტეს;
  - ბ) მონაცემთა დამუშავება უკანონოა, თუმცა მონაცემთა სუბიექტი ეწინააღმდეგება მათ წაშლას დაითხოვს მონაცემთა დაბლოკვას;
  - გ) მონაცემები საჭირო აღარ არის მათი დამუშავების მიზნის მისაღწევად, თუმცა მონაცემთა სუბიექტს ისინი სჭირდება საჩივრის/სარჩელის წარსადგენად;
  - დ) მონაცემთა სუბიექტი მოითხოვს მონაცემთა დამუშავების შეწყვეტას, წაშლას ან განადგურებას და მიმდინარეობს ამ მოთხოვნის განხილვა;
  - ე) არსებობს მონაცემების მტკიცებულებად გამოყენების მიზნით შენახვის აუცილებლობა.
2. კოლეჯი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტის მოთხოვნის შემთხვევაში დაბლოკოს მონაცემები ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი გარემოების არსებობისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მონაცემთა დაბლოკვამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას:
- ა) კოლეჯის მიერ კანონით ან/და კანონითა და მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მისთვის დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;
  - ბ) კანონის შესაბამისად საჯარო ინტერესის სფეროსთვის მიკუთვნებული ამოცანების შესრულებას ან საქართველოს კანონმდებლობით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელებას;
  - გ) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ან მესამე პირის ლეგიტიმურ ინტერესებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს მონაცემთა სუბიექტის, განსაკუთრებით არასრულწლოვანის, უფლებების დაცვის აღმატებული ინტერესი;
  - დ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას.
3. მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კოლეჯი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება მონაცემთა განბლოკვის შესახებ, თუ არსებობს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველი.
4. მონაცემები უნდა დაიბლოკოს მათი დაბლოკვის მიზეზის არსებობის ვადით და ამ ვადის განმავლობაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა დაბლოკვის შესახებ გადაწყვეტილება თან უნდა ერთოდეს შესაბამის მონაცემებს.
5. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, მიიღოს ინფორმაცია კოლეჯის მიერ მონაცემთა დაბლოკვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების ან მონაცემთა დაბლოკვაზე უარის თქმის საფუძვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მოთხოვნიდან 3 სამუშაო

დღისა.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მონაცემთა დაბლოკვის შემთხვევაში მონაცემები, გარდამათი შენახვისა, შესაძლოა სხვაგვარად დამუშავდეს შემდეგ შემთხვევებში:

ა) მონაცემთა სუბიექტის თანხმობით;

ბ) სამართლებრივი მოთხოვნის ან შესაგებლის დასასაბუთებლად;

გ) კოლეჯის ან მესამე პირის ინტერესების დასაცავად;

დ) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საჯარო ინტერესის დასაცავად.

## მუხლი 12. პერსონალურ მონაცემთა გადატანის უფლება

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებითა და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლებით მონაცემთა ავტომატური დამუშავების შემთხვევაში, თუ ეს ტექნიკურად შესაძლებელია, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯისგან სტრუქტურიზებული, საზოგადოდ გამოყენებადი და მანქანურად წაკითხვადი ფორმატით მიიღოს მის მიერ მიწოდებული მონაცემები ან მოითხოვოს ამ მონაცემთა სხვა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისთვის გადაცემა.



### **მუხლი 13. განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება**

1. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება კოლეჯის მიერ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:

- ა) მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა წერილობითი თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე;
  - ბ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება პირდაპირ და სპეციალურად რეგულირდება კანონით და მათი დამუშავება აუცილებელი და პროპორციული ზომას;
  - გ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან სხვა პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და მონაცემთა სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად უნარი არ აქვს, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებაზე განაცხადოს თანხმობა;
  - დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია კოლეჯში შრომითი ვალდებულებებისა და ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, მათ შორის, დასაქმების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ან დასაქმებულის შრომითი უნარების შესაფასებლად;
  - ე) მონაცემთა სუბიექტმა გამოყენების აშკარა აკრძალვის დათქმის გარეშე საჯარო გახადა თავისი მონაცემები;
  - ვ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის დასაცავად;
  - ზ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით.
2. განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის დასაბუთების ვალდებულება ეკისრება კოლეჯს.

### **მუხლი 14. პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობა**

კოლეჯმა და მესამე პირებმა, რომელთათვის ხელმისაწვდომია პერსონალური მონაცემები, უნდა უზრუნველყონ ასეთი მონაცემების კონფიდენციალობა, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- ა) პერსონალური მონაცემების დეპერსონალიზაციის შემთხვევაში ;
- ბ) საჯაროდ ხელმისაწვდომი პერსონალური მონაცემების მიმართ.

### **მუხლი 15. პერსონალური მონაცემების დამუშავების დავალების მიცემა მესამე პირთათვის**

იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯი ავალებს მესამე პირს პერსონალური მონაცემების დამუშავებას, ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს

აღნიშნული პირის მიერ პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის უზრუნველყოფის და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების ვალდებულება მათი დამუშავების დროს.

ამ მოთხოვნის შესრულების კონტროლს ახორციელებს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი.

## **მუხლი 16. პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების უზრუნველყოფის ღონისძიებები ავტომატიზირებული დამუშავების დროს**

### **1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სისტემა**

კოლეჯის საინფორმაციო სისტემაში პერსონალური მონაცემების დამუშავების დროს უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

ა) პერსონალური მონაცემების არასანქცინირებული ხელმისაწვდომობის თავიდან აცილებაზე მიმართული ღონისძიებების ჩატარება და/ან მათი გადაცემა მესამე პირებზე, რომლებსაც არ აქვთ ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება;

ბ) პერსონალური მონაცემების არასანქცინირებული ხელმისაწვდომობის ფაქტების დროული გამოვლენა;

გ) ისეთი პერსონალური მონაცემების დაუყოვნებლივი აღდგენის შესაძლებლობა, რომლებიც მოდიფიცირებულია და განადგურებულია მათი არასანქცინირებული ხელმისაწვდომობის დროს;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ღონის უზრუნველყოფის მუდმივი კონტროლი.

### **მუხლი 17. ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების წესი**

1. ბიომეტრიული მონაცემი არის კოლეჯის ტექნიკური საშუალებების გამოყენებით დამუშავებული, მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ ან ქცევის მახასიათებელთან (როგორცაა მაგალითად, სახის გამოსახულება, ხმის მახასიათებელი ან დაქტილოსკოპიური მონაცემები) დაკავშირებული მონაცემი, რომელიც მისი უნიკალური იდენტიფიცირების ან ვინაობის დადასტურების შესაძლებლობას იძლევა.

2. კოლეჯის მიერ ბიომეტრიული მონაცემის დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ავტომატურად (კომპიუტერული პროგრამის გამოყენებით), ისე არაავტომატურად (ყურნალის წარმოება, მონაცემების ხელით შეყვანა) ან ნახევრად ავტომატური გზით.

3. ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზანია კოლეჯის ეფექტიანი საქმიანობის განხორციელება და პერსონალის და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოების დაცვა. კოლეჯში ბიომეტრიული მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ემსახურება აღნიშნული მიზნების შესრულებას და ამ მიზნების სხვა საშუალებით მიღწევა შეუძლებელია ან დაკავშირებულია არაპროპორციულად დიდ ძალისხმევასთან, აგრეთვე

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების პრინციპებია:

ა) სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპი - მონაცემები უნდა დამუშავდეს სამართლიანად და კანონიერად, იმგვარად, რომ არ შეილახოს მონაცემთა სუბიექტის პატივი და ღირსება.

ბ) კანონიერი მიზნის პრინციპი - მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნებისათვის. დაუშვებელია მონაცემთა დამუშავება სხვა, თავდაპირველ მიზანთან არათავსებადი მიზნით. ყოველი დამუშავებისათვის უნდა არსებობდეს ახალი მიზანი.

გ) ადეკვატურობისა და პროპორციულობის პრინციპი - მონაცემები უნდა დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევადაც მუშავდება ისინი.

5. ბიომეტრიული მონაცემები უნდა იყოს ნამდვილი და ზუსტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უნდა განახლდეს. კანონიერი საფუძვლის გარეშე შეგროვებული და დამუშავების მიზანთან შეუსაბამო მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან/და განადგურდეს. - კოლეჯში მონაცემები შეიძლება შენახულ იქნეს მისი დამუშავების დასრულებიდან არაუმეტეს 15 კალენდარული დღის ვადით რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნის მისაღწევად. მას შემდეგ რაც დამუშავების მიზანი მიიღწევა მონაცემები უნდა დაიბლოკოს, წაიშალოს ან განადგურდეს, ან შენახულ იქნეს პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით.

## **მუხლი 18. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები ბიომეტრიული მონაცემების დამუშავების პროცესში**

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. კერძოდ, კოლეჯი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს შემდეგი სახის ინფორმაცია: - რა ტიპის ბიომეტრიული მონაცემები მუშავდება; - ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების მიზანი; - ბიომეტრიულ მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძველი; - ბიომეტრიულ მონაცემთა შეგროვების წყარო; - ხდება თუ არა ბიომეტრიულ მონაცემთა მესამე პირებზე გაცემა, გაცემის საფუძველი და მიზანი.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს კოლეჯს მოსთხოვოს მის შესახებ კოლეჯში დაცული ბიომეტრიული მონაცემის გასწორება, განახლება, დამატება, წაშლა ან განადგურება. კოლეჯი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის განცხადების საფუძველზე, 15 კალენდარული დღის ვადაში, მიიღოს შესაბამისი ზომები და აცნობოს მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, უფლებების დარღვევის შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს კოლეჯს, მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს. ასევე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა გადაწყვეტილების

გამოტანამდე. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

## **მუხლი 19. ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესი**

1. ვიდეომონიტორინგი არის კოლეჯის სივრცეში განთავსებული//დამონტაჟებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ხმოვანი სიგნალის მონაცემთა დამუშავება, კერძოდ, ვიდეოკონტროლი ან/და ვიდეოჩაწერა.

2. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის სისტემის მემწეობით ხორციელდება შენობის გარე პერიმეტრის, შესასვლელის და პირველ და მეორე სართულზე არსებული დერეფნების მონიტორინგი.

3. კოლეჯში ვიდეომონიტორინგის მიზანია პროფესიული სტუდენტების და პერსონალის უსაფრთხოების და მის სარგებლობაში არსებული ქონების დაცვა. დაუშვებელია ვიდეომონიტორინგის განხორციელება სხვა მიზნით.

4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს თვალსაჩინო ადგილას ვიდეომონიტორინგის განხორციელების შესახებ შესაბამისი ნიშნის (ნიშნების) განთავსება და კოლეჯში დასაქმებული პირების წერილობითი გაფრთხილება ვიდეომონიტორინგის მიზნის (მიზნების) შესახებ.

5. ვიდეომონიტორინგის განხორციელება დაუშვებელია კოლეჯის ჰიგიენისათვის განკუთვნილ ადგილებში.

6. კოლეჯში ვიდეომონიტორინგი ხორციელდება 24 საათის განმავლობაში. ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული მონაცემები (მათ შორის ჩანაწერი და ფოტო) უნდა ინახებოდეს ჩანაწერის დაწყებიდან 25 კალენდარული დღის ვადით.

7. კოლეჯის შენობაში რეალურ დროში მონიტორინგი უნდა შეეძლოს მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილ პირებს და ეკრანზე გამოსახულება არ უნდა იყოს ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის.

8. კოლეჯი ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით. გამოყენებული ტექნიკური საშუალებები უნდა იძლეოდეს პერსონალური მონაცემების დაცვის შესაძლებლობას. უპირატესობა უნდა მიენიჭოს სისტემას, რომელიც ამცირებს ჩანაწერებზე უკანონო წვდომის რისკებს. ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული ჩანაწერის ან რეალურ დროში გამოსახულების გადაცემა მოწყობილობიდან სერვერამდე უნდა ხდებოდეს ინფორმაციის უწყვეტობისა და მთლიანობის პირობების დაცვით.

9. კოლეჯში ვიდეოჩანაწერზე წვდომა (მათ შორის ვიდეომონიტორინგის კონტროლის ოთახში შესვლის უფლება) უნდა ჰქონდეს პირთა შეზღუდულ წრეს შესაბამისი სამსახურებრივი უფლებამოსილებიდან გამომდინარე. ვიდეომონიტორინგის სისტემა და ვიდეოჩანაწერები დაცული უნდა იყოს არამართლზომიერი ხელყოფისაგან და გამოყენებისაგან. უნდა მოხდეს ვიდეოჩანაწერებზე წვდომის თითოეული შემთხვევის აღრიცხვა, მათ შორის წვდომის დროისა

და მომხმარებლის სახელის აღრიცხვა, რომელიც წვდომის განმახორციელებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა.

10. კოლეჯი ვალდებულია შექმნას ვიდეოჩანაწერების შენახვისათვის განკუთვნილი ფაილური სისტემა, სადაც მოხდება ჩანაწერების შენახვა და მისი დახარისხება.

11. კოლეჯი ვალდებულია აწარმოოს შესაბამისი ელექტრონული ან მატერიალური ჟურნალი, სადაც მოხდება ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული პერსონალური მონაცემების მიღების მიზნით, შესაბამისი მომართვების დეტალური აღრიცხვა.

12. ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული ჩანაწერების განადგურება უნდა მოხდეს მონაცემების შენახვასა და აღრიცხვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ მისი შენახვისათვის განკუთვნილი ვადის გასვლიდან არაუმეტეს 24 საათის განმავლობაში.

13. ვიდეომონიტორინგის შედეგად მოპოვებული ჩანაწერების განადგურების თაობაზე პასუხისმგებელი პირის მიერ უნდა შედგეს წერილობითი აქტი, სადაც მიეთითება ჩანაწერების მოცულობა, განადგურების დრო და თარიღი.

## **მუხლი 20. მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის მექანიზმები ვიდეომონიტორინგის განხორციელების პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას**

1. მონაცემთა სუბიექტს აქვს ინფორმაციის მიღების უფლება. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს ინფორმაცია მის შესახებ მონაცემთა დამუშავების თაობაზე. კერძოდ, კოლეჯი ვალდებულია მონაცემთა სუბიექტს მიაწოდოს ინფორმაცია: ვიდეომონიტორინგის მიზნის, მოცულობის, ასევე ვიდეომონიტორინგის პროცესში პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძვლის და შესაბამისი პროცედურების თაობაზე.

2. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს სათანადო დასაბუთებით კოლეჯს მოსთხოვოს მის შესახებ დაცული ვიდეოჩანაწერი, რომელიც აუცილებელი მონაცემთა სუბიექტის უფლებების დასაცავად ან/და მისი უსაფრთხოების მიზნებისათვის. კოლეჯი ვალდებულია, მონაცემთა სუბიექტის შესაბამისი წერილობითი განცხადების საფუძველზე, 10 კალენდარული დღის ვადაში, მიიღოს შესაბამისი ზომები და აცნობოს მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ვიდეომონიტორინგის პროცესში მისი პერსონალური მონაცემების ამ წესის და კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით დამუშავების შემთხვევაში მიმართოს კოლეჯს, მის ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს ან სასამართლოს. ასევე, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, კოლეჯს მოსთხოვოს მონაცემთა დაბლოკვა გადაწყვეტილების გამოტანამდე. მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს, ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ან პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში.

### თავი III.

## ინციდენტთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების წესი

### მუხლი 21. ინციდენტის განმარტება

ინციდენტი არის კოლეჯში მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა, რომელიც იწვევს მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, მათზე წვდომას, მათ შეგროვებას/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.

### მუხლი 22. პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოება

1. კოლეჯი ვალდებულია მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები მონაცემთა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისად დამუშავების უზრუნველსაყოფად.

2. კოლეჯი ვალდებულია მიიღოს მონაცემთა დამუშავების შესაძლო და თანამდევ საფრთხეების შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები (მათ შორის, მონაცემთა ფსევდონიმიზაცია, მონაცემებზე წვდომის აღრიცხვა, ინფორმაციული უსაფრთხოების მექანიზმები (კონფიდენციალურობა, მთლიანობა, ხელმისაწვდომობა) დასხვა), რომლებიც უზრუნველყოფს მონაცემთა დაცვას მონაცემთა დაკარგვისგან, უკანონო დამუშავებისგან, მათ შორის, განადგურებისგან, წაშლისგან, შეცვლისგან, გამჟღავნებისგანან გამოყენებისგან.

3. მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადა უცილებელი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების განსაზღვრისას კოლეჯი ვალდებულია გაითვალისწინოს მონაცემთა კატეგორიები, მოცულობა, მონაცემთა დამუშავების მიზანი, ფორმა, საშუალებები და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დარღვევის შესაძლო საფრთხეები, აგრეთვე პერიოდულად შეაფასოს მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების ეფექტიანობა და, საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოს მონაცემთა უსაფრთხოების დასაცავად ადეკვატური ზომების მიღება ან/და არსებულის განახლება.

4. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ, მონაცემთა შეგროვების, შეცვლის, მათზე წვდომის, მათი გამჟღავნების (გადაცემის), დაკავშირებისა და წაშლის თაობაზე ინფორმაციის) აღრიცხვა. არაელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა დამუშავებისას ასევე კოლეჯმა უნდა უზრუნველყოს მონაცემთა გამჟღავნებასთან ან/და ცვლილებასთან დაკავშირებული ყველა მოქმედების (მათ შორის, ინციდენტების შესახებ ინფორმაციის) აღრიცხვა.

5. კოლეჯის ნებისმიერი უფლებამოსილი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს მონაცემთა დამუშავებაში ან რომელსაც აქვს მონაცემებზე წვდომა, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის



მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს, დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება და კონფიდენციალურობა, მათ შორის, სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

6. კოლეჯი ვალდებულია თანამშრომელთა უფლებამოსილებების შესაბამისად განსაზღვროს მათი მონაცემებზე წვდომის ფარგლები და განახორციელოს ადეკვატური ღონისძიებები თანამშრომელთა მიერ მონაცემთა უკანონო დამუშავების ფაქტების თავიდან ასაცილებლად, გამოსავლენად და აღსაკვეთად, მათ შორის, უზრუნველყოს თანამშრომელთა ინფორმირება მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის საკითხების შესახებ.

### **მუხლი 23. კოლეჯში მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინება**

1. კოლეჯი ვალდებულია წერილობით ან ელექტრონულად უზრუნველყოს მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციის აღრიცხვა:

ა) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის ვინაობა/სახელწოდება და საკონტაქტო ინფორმაცია;

ბ) მონაცემთა დამუშავების მიზნების შესახებ;

გ) მონაცემთა სუბიექტებისა და მონაცემთა კატეგორიების შესახებ;

დ) მონაცემთა მიმღების (მათ შორის, სხვა სახელმწიფოში არსებული მონაცემთა მიმღების ან საერთაშორისო ორგანიზაციის) კატეგორიების შესახებ;

ე) სხვა სახელმწიფოსთვის ან საერთაშორისო ორგანიზაციისთვის მონაცემთა გადაცემის, აგრეთვე მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების თაობაზე, მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) მონაცემთა შენახვის ვადების შესახებ, ხოლო თუ კონკრეტული ვადის განსაზღვრა შეუძლებელია, მათი შენახვის ვადის განსაზღვრის კრიტერიუმების თაობაზე;

ზ) მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების ზოგადი აღწერა;

თ) ინციდენტების შესახებ ინფორმაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. კოლეჯმა ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია შესაბამისი მოთხოვნისთანავე, დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა, უნდა მიაწოდოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

## მუხლი 24. ინციდენტის შესახებ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის შეტყობინების ვალდებულება

1. კოლეჯი ვალდებულია აღრიცხოს ინციდენტი, დამდგარი შედეგი, მიღებული ზომები და ინციდენტის აღმოჩენიდან არაუგვიანეს 72 საათისა მის შესახებ წერილობით ან ელექტრონულად შეატყობინოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ნაკლებსავარაუდოა, რომ ინციდენტი მნიშვნელოვან ზიანს გამოიწვევს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. კოლეჯი ვალდებულია ინციდენტის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ინციდენტის გარემოებების, სახისა და დროის შესახებ;

ბ) ინციდენტის შედეგად უნებართვოდ გამჟღავნებული, დაზიანებული, წაშლილი, განადგურებული, მოპოვებული, დაკარგული, შეცვლილი მონაცემების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის, აგრეთვე იმ მონაცემთა სუბიექტების სავარაუდო კატეგორიებისა და რაოდენობის შესახებ, რომლებსაც ინციდენტის შედეგად შეექმნათ საფრთხე;

გ) ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო ზიანის, მისი შემცირების ან აღმოფხვრის მიზნით დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

დ) იმის შესახებ, გეგმავს თუ არა კოლეჯი ინციდენტის შესახებ შეატყობინოს მონაცემთა სუბიექტს (მონაცემთა სუბიექტებს) კანონმდებლობით დადგენილი დადგენილი წესით და რა ვადაში;

ე) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა საკონტაქტო პირის მონაცემებს.

4. თუ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის ერთიანად და სრულად მიწოდება შეუძლებელია, კოლეჯში პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უფლება აქვს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურთან შეთანხმებით, გონივრულ ვადაში, ეტაპობრივად მიაწოდოს ინფორმაცია.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესი არ მოქმედებს, თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შეტყობინებას თან ახლავს კოლეჯის მითითება, რომ ინციდენტის შესახებ ინფორმაციის გასაჯაროება საფრთხეს შეუქმნის:

ა) სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოების და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს;

ბ) საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს;

გ) დანაშაულის თავიდან აცილებას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის

აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას;

დ) ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს.

## **მუხლი 25. ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირების ვალდებულება**

1. თუ ინციდენტი მაღალი ალბათობით გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს ან/და მნიშვნელოვან საფრთხეს შეუქმნის ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, კოლეჯის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ვალდებულია ინციდენტის აღმოჩენიდან პირველი შესაძლებლობისთანავე, გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე აცნობოს მონაცემთა სუბიექტს ინციდენტის შესახებ და მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე მიაწოდოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ინციდენტისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების ზოგადი აღწერა;

ბ) ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო/დამდგარი ზიანის, მის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად განხორციელებული ან დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ;

გ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ან სხვა პირის საკონტაქტო მონაცემები.

2. თუ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება არაპროპორციულად დიდ ხარჯებს ან ძალისხმევას მოითხოვს, კოლეჯი ვალდებულია ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია გაავრცელოს საჯაროდ ან სხვა ისეთი ფორმით, რომელიც ჯეროვნად უზრუნველყოფს მონაცემთა სუბიექტის მიერ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულება არ წარმოიშობა ერთ-ერთი შემდეგი გარემოების არსებობისას:

ა) ინციდენტის შესახებ მონაცემთა სუბიექტის ინფორმირება საფრთხეს შეუქმნის სახელმწიფო საიდუმლოების დაცვის ინტერესებს, სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამოძიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს;

ბ) კოლეჯმა მიიღო შესაბამისი უსაფრთხოების ზომები, რის შედეგადაც თავიდან იქნა აცილებული ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევის მნიშვნელოვანი საფრთხე.

## მუხლი 26. პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება

1. თუ მონაცემთა დამუშავებისას ახალი ტექნოლოგიების, მონაცემთა კატეგორიის, მოცულობის, მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების გათვალისწინებით, მაღალი ალბათობით იქმნება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხე, კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია წინასწარ განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების განხორციელება სავალდებულოა, თუ კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი:

ა) მონაცემთა სუბიექტისთვის სამართლებრივი, ფინანსური ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილებას იღებს სრულადა ვტომატიზებულიად, მათ შორის, პროფაილინგის საფუძველზე;

ბ) ამუშავებს დიდი რაოდენობით მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს;

გ) ახორციელებს მონაცემთა სუბიექტების ქცევის სისტემატურ და მასშტაბურ მონიტორინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

3. მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასებისას კოლეჯის დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია შექმნას წერილობითი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს:

ა) მონაცემთა კატეგორიის, მათი დამუშავების მიზნების, პროპორციულობის, პროცესისა და საფუძვლების აღწერას;

ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის შესაძლო საფრთხეების შეფასებას და მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების აღწერას.

4. მონაცემთა დამუშავების პროცესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია განახლოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი. დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების დოკუმენტი შეინახოს მონაცემთა დამუშავების მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის შემთხვევაში – არანაკლებ 1 წლის ვადით.

5. თუ მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოვლინდება ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის მაღალი საფრთხე, კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა საფრთხეების არსებითად შესამცირებლად და, საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაციის მიზნით მიმართოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს. თუ დამატებითი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომებით შეუძლებელია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის საფრთხის არსებითად შემცირება, მონაცემთა დამუშავება არ უნდა განხორციელდეს.

6. ამ მუხლისმე-5 პუნქტის საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის მიმართვის შემთხვევაში კოლეჯის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა უნდა წარადგინოს:

ა) დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, თანადამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირებისა და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის უფლებამოსილების შესახებ ინფორმაცია;

ბ) დაგეგმილი მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და საშუალებების შესახებ ინფორმაცია;

გ) მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად განსაზღვრული უსაფრთხოების ზომების შესახებ ინფორმაცია;

დ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკონტაქტო ინფორმაცია;

ე) მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება;

ვ) სხვა (დამატებითი) ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

7. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მონაცემთა დაცვის ზეგავლენის დოკუმენტი არ ექვემდებარება გასაჯაროებას, თუ ამით შეიძლება საფრთხე შეექმნას სახელმწიფო უსაფრთხოების, ინფორმაციული უსაფრთხოებისა და კიბერუსაფრთხოების ან/და თავდაცვის ინტერესებს, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებს, დანაშაულის თავიდან აცილებას, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას, დანაშაულის გამომიებას, სისხლისსამართლებრივ დევნას, მართლმსაჯულების განხორციელებას, პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულებას, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებას და პრობაციას, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფინანსურ ან ეკონომიკურ (მათ შორის, მონეტარულ, საბიუჯეტო და საგადასახადო), საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებულ ინტერესებს.

## თავი IV

### გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

#### მუხლი. 27 წესის მოთხოვნების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა

წინამდებარე წესის მოთხოვნების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა ხორციელდება პერსონალური მონაცემების დაცვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ.

კონტროლში შედის ინფორმაციის დაცვის ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნის შესრულების შემოწმება, აგრეთვე მიღებული ზომების ეფექტიანობის შეფასება.

## **მუხლი 28. წესის მოთხოვნების დარღვევის პაუზისმგებლობა**

წესის მოთხოვნების დარღვევი პირები, პასუხს აგებენ კოლეჯის სამართლებრივი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **მუხლი 29. წესში ცვლილებების და დამატებების შეტანის წესი**

წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შესაძლებელია განხორციელდეს კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის საფუძველზე.